საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/19

ქ.თბილისი

« 13 » ნოემბერი 2019 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით საგანგებო შტაბის ჩამოყალიბების შესახებ

2014 წლის 29 მაისის N2467-IIს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის და 2015 წლის 25 სექტემბრის საქართველოს მთავრობის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ" N508 დადგენილებისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას საგანგებო შტაბი, შემდეგი შემადგენლობით:

1.1. საგანგებო შტაბის უფროსი - **ნარგიზა ლომთაძე** - ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის არასაშტატო სპეციალისტი;

1.2. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი - **ლევან გაგუა** - ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

1.2.1. საევაკუაციო ჯგუფის წევრი - **თეონა დანელია** - ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი;

1.2.2. საევაკუაციო ჯგუფის წევრი - **მაია ნინუა** - ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი;

1.2.3. საევაკუაციო ჯგუფის წევრი - **ქეთევან დოლიძე** - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

1.3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი - **რევაზ მორგოშია** - ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი;

1.3.1. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი - **არტურ ავეტისოვი** - ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის მექანიკოსი;

1.3.2. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი - **ივანე იაშვილი** - ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის ელექტრიკოსი;

1.3.3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი - **ავთანდილ ამირაჯიბი** - ადმინისტრაციის მძღოლი;

1.4. კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის უფროსი - **გიორგი ბროლაძე** - ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის ტექნიკოსი;

1.4.1. კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის წევრი - **რუსუდან ჭაბუკიანი** - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

1.4.2. კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის წევრი - **ნინო ამირიძე** - სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

1.5. სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი - **ციალა უჯმაჯურიძე** - სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ნუმერაციის მართვის მთავარი სპეციალისტი;

1.5.1. სამედიცინო რეაგირების ჯგუფის წევრი - **ნატალია ჯანელიძე** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

1.5.2. სამედიცინო რეაგირების ჯგუფის წევრი - **სოფიო მუშკუდიანი** - კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე;

2. დამტკიცდეს საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები (დანართი 1);

3. დამტკიცდეს კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა (დანართი 2);

4. ბრძანება გაეცნოს კომისიის აპარატში დასაქმებულებს ხელმოწერიდან სამი დღის განმავლობაში;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

7. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული ბრძანების კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ.შოვნაძე)

8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ აბაშიძე